საქმე №020100120003414873 (1/14-20)

განაჩენი

საქართველოს სახელით

22 აპრილი, 2020 წელი **ქ. ზუგდიდი**

ზ უ გ დ ი დ ი ს   რ ა ი ო ნ უ ლ ი   ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო ს

მოსამართლე - ნატრული აკობიამ
სხდომის მდივანი - მარიამ თოდუას

ბრალდების მხარე: პროკურორი - მა--------------ს
ადვოკატ - გვ-----------ს
ბრალდებული- ალ---------------------ს
მონაწილეობით ღია სასამართლო სხდომაზე განიხილა სისხლის სამართლის საქმე

1.ბრალდებული: ალ---------------------ს მიმართ
მამის სახელი: გუ-----ა
დაბადებული: 31.0--196- წელს
პირადი ნომერი:19--------0
საქართველოს მოქალაქე
უმაღლესი განათლების მქონე
ნასამართლობა: არ მქონე
მისამართი: ქ. ზუ---------------------------ა №1
რეგისტრირებული: ქ. ზუ-------------------------ა №1
აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეფარდებული
დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126^1-ე მუხლის პირველი ნაწილით, სსკ-ის 126^1-ე მუხლის პირველი ნაწილით და სსკ-ის 11^1151-ე მუხლის პირველი ნაწილით.

აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი:

სასამართლომ დაადგინა:

ალ----------–----მ ჩაიდინა ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმა-რთ ძალადობა, რამაც ფიზიკური ტკივილი გამოიწვია და რასაც არ მოჰყოლია სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი.

იმ დანაშაულებრივი ქმედების აღწერა, რომელიც სასამართლომ დამტკიცე-ბულად ცნო:

2019 წლის 15 ნოემბერს, ალ----------–----მ ყოფილ მეუღლეს, ინ-------–----ას, რომელთანაც მუდმივად ეწეოდა ერთიან საოჯახო მეურნეობას-მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა-ქ.ზუ------–-----–------ს ქუჩა №1-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში მყოფმა ალ----------–----მ-ინ-------–----ას დაარტყა წიხლი ფეხის არეში, რის შედეგად მან განიცადა ფიზიკური ტკივილი.

მანვე ჩაიდინა ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც ფიზიკური ტკივილი გამოიწვია და რასაც არ მოჰყოლია სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი.

იმ დანაშაულებრივი ქმედების აღწერა, რომელიც სასამართლომ დამტკი-ცებულად ცნო:

2019 წლის 28 ნოემბერს, ალ----------–----მ ყოფილ მეუღლეს, ინ-------–----ას, რომელთანაც მუდმივად ეწეოდა ერთიან საოჯახო მეურნეობას-მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა- ქ. ზუ------–-----–------ს ქუჩა №1-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში მყოფმა ალ----------–----მ - ინ-------–----ას მოქაჩა თმები ძლიერად, რის შემდეგ დაარტყა რამდენჯერმე ხელი სახის, თავის და ტანის არეში, აღნიშნულის შედეგად მან განიცადა ფიზიკური ტკივილი.

მანვე ჩაიდინა ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ სიცოცხლის მოსპობის მუქარა, როდესაც იმას ვისაც ემუქრებიან გაუჩნდა მუქარის განხორცი-ელების საფუძვლიანი შიში.

იმ დანაშაულებრივი ქმედების აღწერა, რომელიც სასამართლომ

დამტკი-ცებულად ცნო:

2019 წლის 28 ნოემბერს, ქ. ზუ------–------–------ს ქუჩა №1-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში მყოფი ალ----------–---- ყოფილ მეუღლეს-ინ-------–---ას დაემუქრა სიცოცხლის მოსპობით, უთხრა რომ ყელს გამოჭრიდა, რის შედეგად მას გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში.

2020 წლის 22 აპრილს ჩატარებულ არსებითი განხილვის სხდომაზე ბრალდებულის პოზიციიდან გამომდინარე, რომელმაც შერაცხულ ბრალდებაში თავი ცნო დამნაშავედ და სადავოდ არ გახადა ბრალდების მტკიცებულებები, ბრალდების და დაცვის მხარის შეთანხმებით საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებებს საქართველოს სსსკ-ის 73-ე მუხ-ლის პირველი ნაწილის ,,დ" ქვეპუნქტის შესაბამისად ნაწილობრივ მიენიჭა პრეიუდი-ციული ძალა და არ იქნა გამოკვლეული.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, გამოკვლევის გარეშე მტკიცებულებად მიიჩნევა ნებისმიერი ფაქტი თუ გარემოება, რომელზედაც მხარეები შეთანხმდებიან. გამომდი-ნარე აღნიშნულიდან, ვინაიდან მხარეებმა არც ერთი მტკიცებულება სადავოდ არ მიიჩნიეს, ისინი გამოკვლევის გარეშე მიღებული იქნა მტკიცებულებად, როგორც პრეიუდიცია.

საქმის არსებითი განხილვის უფლებაზე ბრალდებულის მიერ უარის თქმას ასევე ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, რომლის თანახმად, იმ შემთხვევებში, როცა უფლებაზე უარის თქმა ხორციელდება აშკარა და არაორაზროვანი ფორმით, უზრუნველყოფილია დაცვის მინიმალური გარანტიები და უფლებაზე უარი არ ეწინააღმდეგება საჯარო ინტერესს, ასეთი ფორმით გამოხატული უარი უფლებაზე არ ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციას (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: Natsvlishvili and Togonidze v. Georgia (0--09.2014); Scoppola v. Italy (17.09.2009); Poitrimol v. France (23.11.1993); Hermi v. Italy (18.10.2006).

მტკიცებულებები, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნა:

მოწმე მე----------მ ისარგებლა საქართველოს სსსკ-ის 49-ე მუხლით

გათვალისწი-ნებული უფლებით და უარი განაცხადა ახლო ნათესავის, შვილის მიმართ მამხილე-ბელი ჩვენების მიცემაზე.

მოწმე ჯი----------ა განმარტავს, რომ მუშაობს ზუგდიდის რაიონული სამმარ-თველოს დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებლად, 2019 წლის 28 ნოემბერს ზუგდიდის რაიონულ სამმართველოში დაიწყო გამოძიება ინ-------–----ას მიმართ ოჯახური ძალადობის ფაქტზე, 2019 წლის 28 ნოემბერს დააკავა ალ----------–----, შეადგინა შესაბამის ოქმი, რასაც ბრალდებულმა ხელი არ მოაწერა, ხოლო ოქმის ასლი გადასცა. დაკავებისას წინააღმდეგობა არ გაუწევია.

მოწმის სახით დაკითხული ექსპერტის შო----------ს განმარტებით დადასტუ-რებულია, რომ გამომძიებლის დადგენილების საფუძველზე ჩაატარა სამედიცინო ექსპერტიზა პირადი შემოწმების გზით, ინ-------–----ას მარჯვენა თვალბუდის მიდა-მოში აღენიშნებოდა სისხლნაჟღენთები, ასეთივე დაზიანება ჰქონდა მარჯვენა მხრის წინა ზედაპირზე, მარცხენა ბარძაყის და მარცხენა წვივის მიდამოში, აღნიშნული დაზიანებები განვითარებული იყო მკვრივი ბლაგვი საგნის ზემოქმედების შედეგად და მიეკუთვნებოდა სხეულის დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს ჯანმრთელობის მოუშ-ლელად, დაზიანების მიმყენებელი საგნის იდენტიფიკაცია არ შედის სამედიცინო ექსპერტის კომპეტენციაში.

ალ----------–----ს მიმართ შერაცხული ბრალეული და მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა სასამართლოს ასევე დადასტურებულად მიაჩნია პრეიუდიციული ძალის მქონე, ეჭვის გამომრიცხავი, უტყუარი და რელევანტური მტკიცებულებებით.

ბრალდებულ ალ----------–----ს აღიარებით;

გამოძიების დაწყების აღრიცხვის ბარათით (ს.ფ1);

ინ-------–----ას 2019 წლის 29 ნოემბრის განცხადებით (ს.ფ 2);

2019 წლის 29 ნოემბრის შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით (ს.ფ 45-51);

2006 წლის 14 თებერვლის N 2- ქორწინების აქტის ჩანაწერით (ს.ფ 94-95);

2009 წლის 20 აგვისტოს N 28--------9 განქორწინების აქტის ჩანაწერით (ს.ფ

96-97);

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასავლეთ საქართველოს რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტის 2019 წლის 06 დეკემბრის №00------9 სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით ინ-------–----ას მიმართ (ს.ფ. 100-103);

ინ-------–----ას 2019 წლის 11 დეკემბრის განცხადებით და ფოტოილუსტრაციით (ს.ფ 104-108);

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2020 წლის 16 აპრილის №00------0 სტაციონარული სასამართლო-ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით;

დაზარალებულ ინ-------–----ას გამოკითხვის ოქმით.

მოწმეების და----------–----------–----------–----------–----------–----------–----------ს გამოკითხვის ოქმებით.

სამართლებრივი შეფასება:

ალ----------–----ს ბრალი ედება მასში, რომ ჩაიდინა ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც ფიზიკური ტკივილი გამოიწვია და რასაც არ მოჰყოლია სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი.

სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებები, თავისუფლებები და ჯანმრთე-ლობა დაცულია საქართველოს კონსტიტუციით და საკანონმდებლო აქტებით და მისი ხელყოფისათვის გათვალისწინებულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

ოჯახი სახელმწიფოს საფუძველი და ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ელემენტია. სახელმწიფოს ვალდებულებაა უზრუნველყოს ადამიანის უფლება იცხოვროს ოჯახში ძალადობის გარეშე, ოჯახის წევრთა თანასწორობის საფუძველზე შექმნას მათი უფლე-ბების დაცვის საკანონმდებლო და სოციალური გარანტიები, შეინარჩუნოს ოჯახური ღირებულებები, დაიცვას ოჯახი ძალადობისგან, საკანონმდებლო საფუძველზე უზრუ-ნველყოს ოჯახში

ძალადობის მსხვერპლთათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა.

პირის კონსტიტუციით აღიარებული უფლებები და თავისუფლებები არ შეიძლება შეიზღუდოს მისივე ოჯახის წევრის მიერ.

ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ასევე ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონის მესამე მუხლის შესაბამისად ოჯახში ძალადობა გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას უგულებელყოფით, ან/ და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით.

საქართველოს სსკ-ის 126[1-]ე მუხლით გათვალისწინებული არის პასუხისმგებლობა ოჯახში ძალადობისათვის, რადგან ოჯახში ძალადობის არსი ადამიანის პირადი უფლებებისა და თავისუფლებების შელახვაში მდგომარეობს, რასაც შეიძლება მოჰყვეს ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზიანი. მოცემულ შემთხვევაში ალ----------ს მიერ ყოფილი მეუღლის მიმართ ჩადენილია ძალადობრივი ქმედება, რამაც ფიზიკური ტკივილი გამოიწვია.

საქართველოს სსკ-ის 126[1]-ე მუხლის პირველი ნაწილის სუბიექტია დაზარალებულის ოჯახის წევრი. საქართველოს სსკ-ის 11[1]-ე მუხლის შენიშვნის თანახმად, ამ მუხლის მიზნებისათვის ოჯახის წევრად ითვლება მეუღლე, დედა, მამა, პაპა, ბებია, შვილი (გერი), შვილობილი, მშვილებელი, მშვილებლის მეუღლე, ნაშვილები, მიმღები ოჯახი (დედობილი, მამობილი), მეურვე, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობლები, სიძე, რძალი, ყოფილი მეუღლე, აგრეთვე პირები, რომლებიც მუდმივად ეწევიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას.

ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის მესამე მუხლის შესაბამისად მონაწილე სახელმწიფოები ყველა სფეროში, სახელდობრ, პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურის სფეროებში იღებენ ყველა საჭირო ზომას, მათ შორის საკანონმდებლოს, რათა უზრუნველყონ ქალთა ყოველმხრივი განვითარება და პროგრესი, მათ მიერ ადამიანის უფლებათა და ძირითადი თავისუფლებათა განხორციელება და გამოყენება

მამაკაცებთან თანასწო-რობის საფუძველზე.

„ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის“ შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის (სტამბოლის კონვენცია) შესაბამისად ოჯახში ძალადობა გულისხმობს ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური თუ ეკონომიკური ძალადობის ყველა აქტს, რომლებიც ხდება ოჯახში თუ შინაურ წრეში ან ყოფილ ან ამჟამინდელ მეუღლეებსა თუ პარტნიორებს შორის, მიუხედავად იმისა, დამნაშავე პირი მსხვერპლთან ერთად ერთ საცხოვრებელში ცხოვრობს თუ არა, მოცემულ შემთხ-ვევაში დადასტურებულია, რომ დაზარალებული ინ-------—----ა არის ალ----------—----ს ყოფილი მეუღლე.

ქალთა მიმართ ძალადობა აღიქმება, როგორც ადამიანის უფლებების დარღვევა და ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ერთ-ერთი ფორმა და გულისხმობს გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის ყველა იმ აქტს, რომლებსაც შედეგად მოჰყვება ან შეიძლება მოჰყვეს ქალებისთვის ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური ან ეკონომიკური ზიანის, ან ტანჯვის მიყენება, მათ შორის, ასეთი აქტების ჩადენის მუქარა, იძულება ან თავისუფლების თვითნებური აღკვეთა, იმის მიუხედავად, თუ სად ხდება ეს-საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში.
ბრალდებულ ალ----------—----ს მიერ დანაშაული ჩადენილია პირდაპირი განზრახვით, საქართველოს სსკ-ის მე-9 მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად დანაშა-ული პირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურდა ეს შედეგი, ანდა ითვალისწინებდა ასეთი შედეგის განხორციელების გარდაუვალობას, ალ----------—----ს გაცნობი-ერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი და ის ზიანი, რაც შეიძლება მიდგომოდა დაზარალებულს და სურდა ასეთი შედეგის დადგომა.

მასვე ბრალი ედება მასში, რომ ჩაიდინა ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ სიცოცხლის მოსპობის მუქარა, როდესაც იმსა ვისაც ემუქრებიან გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში.

სასამართლო განმარტავს, მუქარა ადამიანის უფლებისა და თავისუფლების წინააღმ-დეგ მიმართულ დანაშაულს წარმოადგენს და

შესაბამისად იწვევს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლით გათვალისწინებულ პასუხისმგე-ბლობას.

აღნიშნული დანაშაულის ობიექტია ადამიანის ფსიქიკური ხელშეუხებლობა და მშვიდ გარემოში ცხოვრების უფლება.

ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატა მოქმედებაში, ოჯახის წევრების მიმართ სიცოცხლის მოსპობის მუქარაში, რა დროსაც მათ გაუჩნდათ საფუძვლიანი და რეალური შიში მისი განხორციელებისა, ამ ქმედებამ დაზარალებულის სიმშვიდე დაარღვია და მისი აფორიაქება გამოიწვია, რის გამოც მან დახმარებისთვის მიმართ სამართალდამცავ ორგანოებს.

ქმედების საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლით კვალიფიკაციისათვის არა აქვს მნიშვნელობა ბრალდებულს ჰქონდა თუ არა მიზნად მუქარის განხორცილება, ხოლო დანაშაული დამთავრებულად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც დაზარალებულს გაუჩნდა მისი რეალიზაციის საფუძვლიანი შიში.

მუქარა განზრახი დანაშაულია, აღნიშნული დანაშაულის ჩადენისას ალ----------–----ს შეგნებული ჰქონდა მის მიერ ჩადენილი ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი, ითვალისწინებდა და სურდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომა.

საქართველოს სსკ-ის მე-8-ე მუხლის შესაბამისად თუ ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით დანაშაული მხოლოდ მაშინ ითვლება დამთავრებულად, როდესაც ქმედებამ მართლსაწინააღმდეგო შედეგი გამოიწვია ან ასეთი შედეგის განხორციელების კონკრე-ტული საფრთხე შექმნა, აუცილებელია მიზეზობრივი კავშირის დადგენა ამ ქმედებასა და შედეგს ან საფრთხეს შორის. მიზეზობრივი კავშირი არსებობს მაშინ, როდესაც ქმედება წარმოადგენდა ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო შედეგის ან კონკრეტული საფრთხის აუცილებელ პირობას, ურომლისოდაც ამჯერად ეს შედეგი არ განხორციელდებოდა ან ასეთი საფრთხე არ შეიქმნებოდა. შესაბამისად არსებობს მიზეზობრივი კავშირი ალ----------–----ს ქმედებას - დაზარალებულისათვის სიცოცხლის მოსპობის მუქარასა და დამდგარ შედეგს, დაზარალებულის საფუძვლიან შიშს შორის.

საქართველოს სსსკ-ის 259-ე მუხლის შესაბამისად სასამართლოს

განაჩენი უნდა იყოს კანონიერი და დასაბუთებული.

სასამართლოს განაჩენი კანონიერია, თუ იგი გამოტანილია საქართველოს კონსტი-ტუციის, ამ კოდექსისა და საქართველოს სხვა კანონების მოთხოვნათა დაცვით, რომელთა ნორმებიც გამოყენებული იყო სისხლის სამართლის პროცესში.

სასამართლოს განაჩენი დასაბუთებულია, თუ ის ემყარება სასამართლო განხილვის დროს გამოკვლეულ, გონივრული ეჭვის გამომრიცხავ მტკიცებულებათა ერთობ-ლიობას. სასამართლოს განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა და გადაწყვე-ტილება დასაბუთებული უნდა იყოს.

საქართველოს სსსკ-ის 82-ე მუხლის თანახმად მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობის და უტყუა-რობის თვალსაზრისით, გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობ-ლიობა.

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მეექვსე მუხლის შესაბამისად საქმის სამართლიან სასამართლოში განხილვის ფუნდამენტური უფლების არსი გულისხმობს სასამართლოს მიერ პირის მსჯავრდებას ან შერაცხულ ბრალდებაში გამართლებას უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებების საფუძველზე. ამ პრინციპთან სრულ შესაბამისობაშია საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მეშვიდე ნაწილი, რის მიხედვით გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით და საქართველოს უზენა-ესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკით არაერთ გადაწყვეტილებაშია მითი-თება მხოლოდ გონივრულ ეჭვს მიღმა მაღალი სამართლებრივი სტანდარტით მტკიცე-ბულებათა არსებობის აუცილებლობის შესახებ პირის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად, მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ადგენს და ადას-ტურებს გარკვეულ ფაქტებს ეჭვს ქვეშ არ უნდა აყენებდეს დანაშაულის ჩადენის არსებით გარემოებებს.

პირის ბრალდების დასადასტურებლად და გამამტყუნებელი განაჩენის დასადგენად გონივრული ეჭვის გამომრიცხავ მტკიცებულებათა ერთობლიობის აუცილებ-ლობასთან დაკავშირებით იგივე მიდგომა გააჩნია ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს: (გადაწყვეტილება Barbera, Messeguй and Jabardo v. Spain; Lavents v. Latvia; Melich and Beck v. The Czech Republic საქმეებზე).

სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების, ბრალდებულის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ანალიზით და სამართლებრივი შეფა-სებით, მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე დასაშვებად ცნობილი, ერთმანეთთან შეთანხმებული, აშკარა და დამაჯერებელი მტკიცებულებათა ერთობლიობით გონივ-რულ ეჭვს მიღმა დადასტურებულია, რომ ალ----------–----მ ჩაიდინა ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც ფიზიკური ტკივილი გამოიწვია და რასაც არ მოჰყოლია სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც ფიზიკური ტკივილი გამოიწვია და რასაც არ მოჰყოლია სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწი-ნებული შედეგი და ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ სიცოცხლის მოსპობის მუქარა, როდესაც იმას ვისაც ემუქრებიან გაუჩნდა მუქარის განხორცი-ელების საფუძვლიანი შიში.

ამდენად, ბრალდებულ ალ----------–----ს ქმედება სწორად არის დაკვალიფიცი-რებული საქართველოს სსკ-ის 126^1-ე მუხლის პირველი ნაწილით, საქართველოს სსკ-ის 126^1-ე მუხლის პირველი ნაწილით და საქართველოს სსკ-ის 11^1.151-ე მუხლის პირველი ნაწილით, რისთვისაც მას უნდა დაედოს მსჯავრი.

პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები:

ალ----------–----ს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები არ გააჩნია.

სასჯელის დასაბუთება:

საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის შესაბამისად სასამართლოს განაჩენი სამართლი-ანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება

მსჯავრდებულის პიროვნებას და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს.

სასამართლოს მიერ სასჯელის დანიშვნისას გათვალისწინებული უნდა იქნას საქარ-თველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლით დადგენილი სასჯელის მიზანი: სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს, რომ, სასჯელის მიზანი ხორციელდება მსჯავრდე-ბულსა და სხვა პირზე ზემოქმედებით, რათა ისინი განიმსჭვალონ მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით, ხოლო მე-3 ნაწილის თანახმად, სასჯელის მიზანი არ არის ადამიანის ფიზიკური ტანჯვა ან მისი ღირსების დამცირება.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლო დამნაშავეს სამართლიან სასჯელს დაუნიშნავს ამ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით დადგენილ ფარგლებში და ამავე კოდექსის ზოგადი ნაწილის დებულებათა გათვალისწინებით. სასჯელის უფრო მკაცრი სახე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ნაკლებად მკაცრი სახის სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნის განხორციელებას.

სამართლიანობის აღდგენის, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებისა და დამნაშავის რესოციალიზაციის განსახორციელებლად, აგრეთვე, დანაშაულის მოტივისა და მიზნის, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნების, მოვალეობათა დარღ-ვევის ხასიათისა და ზომის, ქმედების განხორციელების სახის, ხერხისა და მართლ-საწინააღმდეგო შედეგის, დამნაშავის წარსული ცხოვრების, ქმედების შემდეგ ყოფაქცევის გათვალისწინებით, სასამართლო მიაჩნია, რომ ალ-----------–----ს უნდა დაენიშნოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლის სანქციით გათვალისწინებული სასჯელის სახე - თავისუფლების აღკვეთა, რაც გახდება საფუ-ძველი მომავალში მისი საზოგადოებაში უსაფრთხო ინტეგრაციის და იქნება დამაფიქ-რებელი ბრალდებულისთვის, რათა უკეთ გააცნობიეროს ჩადენილი ქმედების ხასიათი, საზოგადოებრივი საშიშროება და გამოწვეული შედეგის სიმძიმე, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს სამართლიანობის აღდგენას. სასამართლოს მიაჩნია, რომ მას სასჯელი უნდა დაენიშნოს იმ ზომით

რაც შეესაბამება მსჯავრდებულის ქმედების სიმძიმეს, მის პიროვნებას და დანაშაულის შემდგომ ქცევას და რაც არ იქნება მეტისმეტად მკაცრი და უსამართლო, რაც სრულად შეესაბამება ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს 1981 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილებას საქმეზე Dudgeon v. the United Kingdom, სადაც მსჯელობს დემოკრატიულ საზოგადოებაში კანონის უზენაესობის მნიშვნელობაზე და განმარტავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას მუდმივად გასდევს სამართლიანი ბალანსის ძიება საზოგა-დოების ზოგადი ინტერესის მოთხოვნებსა და ინდივიდის ფუნდამენტური უფლებე-ბის დაცვას შორის.

ნივთმტკიცების ბედის გადაწყვეტა:

ნივთიერი მტკიცებულების საკითხი გადაწყდეს საქართველოს სსსკ-ის 81-ე მუხლის პირველის ნაწილის შესაბამისად.

საქართველოს სსსკ-ის 81-ე მუხლის პირველის ნაწილის ,,გ" ქვეპუნქტის თანახმად ნივთი, რომელსაც ღირებულება არა აქვს, დაინტერესებული პირის ან ადმინისტრა-ციული ორგანოს შუამდგომლობით მას გადაეცემა, ხოლო თუ ასეთი პირი ან ორგანო არ აღმოჩნდა, – ნადგურდება.

ნივთიერი მტკიცებულება: ინ-------–---------ნ აღებული ანაწმენდის ნიმუში, რომელიც ინახება საქართველოს შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ზუგდიდის რაიონულ სამმართველოში, განადგურდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 255-ე, 258-ე, 259-ე, 260-ე, 26--ე, 271-ე, 272-ე, 277-ე, 279-280-ე, 292-ე მუხლებით

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1.ცნობილი იქნას დამნაშავედ ალ----------–---- (პირადი ნომერი 19--------0) საქართველოს სსკ-ის 126[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით, სსკ-ის 126[1]-ე მუხლის პირვე-ლი ნაწილით და სსკ-ის 11[1]151-ე მუხლის პირველი ნაწილით.

2.საქართველოს სსკ-ის 126[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 1 (ერთი) წლის ვადით.

3.საქართველოს სსკ-ის 126[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 1 (ერთი) წლის ვადით.

4.საქართველოს სსკ-ის 11[1]151-ე მუხლის პირველი ნაწილით სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 06 (ექვსი)თვის ვადით.

5.საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქას ნაკლებად მკაცრი სასჯელი და საბოლოოდ ალ----------–----ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 1 (ერთი) წლის ვადით.

6.ალ----------–----ს სასჯელის ათვლა დაეწყოს დაკავების მომენტიდან, 2019 წლის 28 ნოემბრის 19:37 საათიდან.

7.ალ----------–----ს მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება პატიმრობა გაუქმდეს.

8.ნივთიერი მტკიცებულება:ინ-------–---------ნ აღებული ანაწმენდის ნიმუში, რომე-ლიც ინახება საქართველოს შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ზუგდიდის რაიონულ სამმართველოში, განადგურდეს.

9.განაჩენი კანონიერ ძალაში შევიდეს გამოცხადებისთანავე.

10.განაჩენი შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო წესით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატაში (ქ. ქუთაისი ნიუპორტის ქუჩა №32) გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მეშვეობით.

მოსამართლე ნ. აკობია